EAST EUROPEAN UNIVERSITY

მაგისტრანტობის კანდიდატთა სარეგისტრაციო პორტალის გზამკვლევი

მაგისტრანტობის კანდიდატთა სარეგისტრაციო პორტალი

მაგისტრანტობის კანდიდატმა მისთვის სასურველ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით რეგისტრაცია უნდა გაიაროს ელექტრონულ პორტალზე!

ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპები:

- პერსონალური ინფორმაციის შევსება;
- პროგრამებზე რეგისტრაცია;
- ინფორმაცია მიღებული განათლების შესახებ;
- დამატებითი პირობები;
- შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვა;
- წესებსა და პირობებზე თანხმობა;

წარმოსადგენი დოკუმენტები

- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი)/ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ *(სავალდებულო)*;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა *(სავალდებულო);*
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი/სამხედრო ბილეთი *(სავალდებულო ვაჟებისთვის);*
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი *(უცხოეთის უნივერსიტეტში კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში).*
- ფოტოსურათი (3X4) – *(სავალდებულო)*;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი (არანაკლებ B2 პროგრამის წინაპირობის შესაბამისად) სერტიფიკატი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში);*

ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ

- რეგისტრაციის წარმატებით დასრულების (ყველა სავალდებულო ველის შევსებისა და შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვის) შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, რომ ,,თქვენი განაცხადი მიღებულია“, რაც ნიშნავს, რომ იგი გადაეცემა საბუთების მიმღებ კომისიას შესწავლის მიზნით. ასევე მიიღებთ მომხმარებლის ნომერს, პაროლსა და საიდენტიფიკაციო ინდივიდუალურ კოდს, რომლის საშუალებითაც შეძლებთ პორტალზე შესვლასა და თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემოწმებას.

- მაგისტრანტობის კანდიდატთათვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდით გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდების საბოლოო შედეგები და შესაძლებელი იქნება საკუთარი თავის იდენტიფიცირება.

- საბუთების მიმღები კომისია ***არაუმეტეს ორი დღისა*** განიხილავს თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს:

- იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები/მონაცემები არასრულია ან არ შეესაბამება სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, რომ ,,თქვენი განაცხადი დახარვეზებულია", ასევე შესაბამის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტიპის ხარვეზია და/ან რა ვადაში უნდა წარმოადგინოთ მოთხოვნილი დოკუმენტი.

- იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტები/მონაცემები სრულად იქნება წარმოდგენილი და შეესაბამება სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, რომ ,,თქვენი განაცხადი დადასტურებულია", რაც ნიშნავს, რომ მონაწილეობას იღებთ სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებულ კონკურსში. ***(განაცხადის დადასტურების შემდეგ, თქვენ ვერ შეძლებთ ცვლილების შეტანას და/ან დამატებითი დოკუმენტის ატვირთვას).***

- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, თუ იგი დააკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, ინგლისური ენის ტესტირებიდან გათავისუფლების შესახებ.

- თქვენ შესაძლებლობა გაქვთ, ელექტრონული პორტალის მეშვეობით აწარმოოთ მიმოწერა საბუთების მიმღებ კომისიასთან და მიიღოთ მათგან შესაბამისი ინფორმაცია.

შენიშვნა: ინფორმაციას რეგისტრაციის ყველა ეტაპის შესახებ მიიღებთ მეილის, ტელეფონის და პორტალის საშუალებით.

1. პირადი მონაცემები

1.1. პირადობის მოწმობის ველში საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში ჩაწერეთ პირადობის მოწმობის 11 ნიშნა ნომერი, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის ნომერი

ერთი პირადი ნომრის საშუალებით დარეგისტრირდებით მხოლოდ ერთხელ!

1.2. სახელის ველში ჩაწერეთ თქვენი სახელი ქართულ ენაზე პირადობის მოწმობის მიხედვით.

1.3. გვარის ველში ჩაწერეთ თქვენი გვარი ქართულ ენაზე პირადობის მოწმობის მიხედვით.

1.4. მამის სახელის ველში ჩაწერეთ მამის სახელი სრულად.

1.5. სქესის ველში აირჩიეთ თქვენი სქესი.

1.6. ჩამოშალეთ შესაბამისი ველი (დაბადების თარიღი) და დააფიქსირეთ თქვენი დაბადების წელი, თვე, რიცხვი.

1.7. რეგისტრაციის მისამართის ველში ჩაწერეთ თქვენი რეგისტრაციის (იურიდიული) მისამართი პირადობის მოწმობის მიხედვით.



1.8. ფაქტობრივი მისამართის ველში ჩაწერეთ თქვენი მისამართი სრულად (მაგ: საქართველო, ქ. თბილისი, ვარკეთილი, IV მკრ. III კორპუსი, ბინა 5).



1.9. ელ-ფოსტის ველში მიუთითეთ თქვენი აქტიური ელ-ფოსტის მისამართი.

აღნიშნულ ელ-ფოსტაზე უნივერსიტეტიდან მიიღებთ შესაბამის ინფორმაციებს რეგისტრაციის პროცესის, გამოცდებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

1.10. ტელეფონის ნომრის ველში მიუთითეთ თქვენი აქტიური ტელეფონის ნომერი.

აღნიშნულ ნომერზე უნივერსიტეტიდან მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს რეგისტრაციის პროცესის, გამოცდებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ

1.11. ალტერნატიული ტელეფონის ნომრის ველში მიუთითეთ აქტიური ტელეფონის ნომერი, რომელზეც მოგაწვდით ინფორმაციას იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ უკვე მითითებულ ნომერზე ვერ შევძლებთ დაკავშირებას.

2. ფაკულტეტებსა და პროგრამებზე რეგისტრაცია;

2.1. მოცემულ ველში შეგიძლიათ, ჩაწერეთ საერთო სამაგისტრო გამოცდის ცხრანიშნა კოდი, (თუ უკვე გაქვთ მიღებული).



ჩამოშალეთ სამაგისტრო პროგრამების ველი და აირჩიეთ თქვენთვის სასურველი სამაგისტრო პროგრამა. თქვენ მიერ არჩეული სამაგისტრო პროგრამის არჩევის შემდეგ, ავტომატურად დაფიქსირდება ფაკულტეტის დასახელება.

შეგიძლიათ პრიორიტეტების მიხედვით აირჩიოთ არაუმეტეს ორი სამაგისტრო პროგრამისა;



იმ შემთხვევაში, თუ თქვენ სწავლის გაგრძელება გსურთ **სამართლის** სამაგისტრო პროგრამაზე, პროგრამის არჩევის შემდეგ, უნდა ჩამოშალოთ შესაბამისი ველი და აირჩიოთ სამი მიმართულებიდან ერთი (კერძო სამართალი, სისხლის სამართალი, საჯარო სამართალი). ასეთ შემთხვევაში მეორე პრიორიტეტად სამართლის სხვა მიმართლების არჩევას ვერ შეძლებთ.

3. ინფორმაცია მიღებული განათლების შესახებ

3.1. ჩამოშალეთ ჩამონათვალი და აირჩიეთ ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც მოგენიჭათ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიკაცია მოგენიჭათ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან უსდ-ში, რომელშიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოგენიჭათ კვალიფიკაცია, ამ ეტაპზე არ არის ავტორიზებული, ჩამონათვალიდან აირჩიეთ „სხვა“ და 3.1.1.-ში ჩაწერეთ უნივერსიტეტის სრული დასახელება;



3.2. მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სწავლობდით ბაკალავრიატში.



3.2.1. იმ შემთხვევაში, თუ ირჩევთ სამართლის სამაგისტრო პროგრამას, გაითვალისწინეთ, რომ მიღების წინაპირობა არის სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი! შესაბამისად, გაგეხსნებათ 3.2.1. პუნქტი, რომელშიც უნდა მონიშნოთ გაქვთ, თუ - არა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

3.3. მიუთითეთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის დიპლომის/ცნობის ნომერი (მაგ. BA N000456).



3.4. ჩამოშალეთ ველი და მიუთითეთ დოკუმენტის დასახელება, რომელიც წარმოდგენილი გაქვთ: ცნობა/დიპლომი

3.5. ჩამოშალეთ ველი - ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის მინიჭების თარიღი - და მონიშნეთ დიპლომში/ცნობაში მითითებული (დღე, თვე, წელი) თარიღები (ოქმის, გადაწყვეტილების), როცა მოგენიჭათ კვალიფიკაცია.



3.6. ჩამოშალეთ ველი - ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის გაცემის თარიღი - და მონიშნეთ დიპლომში/ცნობაში მითითებული (დღე, თვე, წელი) თარიღები.

4. დამატებითი პირობები

4.1. მოცემულ ველში - ხართ, თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი მონიშნეთ ,,კი“ ან ,,არა“

4.1.1. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პასუხი იქნება ,,კი“ გაიხსნება შესაბამისი ველი, სადაც უნდა ჩაწეროთ, რაში გამოიხატება თქვენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება



4.2. ჩამოშალეთ ველი და მონიშნეთ, ინგლისური ენის ტესტირება თქვენთვის სასურველი დრო *(ტესტირება ჩატარდება კომპიუტერთან, დისტანციურად).*

4.3. ჩამოშალეთ ველი და იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, მონიშნეთ ,,კი“, სხვა შემთხვევაში მონიშნეთ ,,არა“. ,,კი“-ს მონიშვნის შემთხვევაში, სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად უნდა ატვირთოთ ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი.

4.4. ჩამოშალეთ ველი და მონიშნეთ, სპეციალობის ზეპირი გამოცდა/გასაუბრება გსურთ ჩააბაროთ უნივერსიტეტის სივრციდან, თუ დისტანციურად. *(„პირისპირ ფორმატში“ უნდა აირჩიონ მხოლოდ იმ პროგრამების აპლიკანტებმა, რომლებიც სპეციალობაში აბარებენ ზეპირ გამოცდას/გასაუბრებას, საჯარო მმართველობისა და სამართლის სამაგისტრო პროგრამების აპლიკანტებისთვის ტესტირება ჩატარდება დისტანციურად).*

4.5. ჩამოშალეთ ველი და ჩამონათვალიდან აირჩიეთ სპეციალობის გასაუბრება/ტესტირება ჩაბარებისთვის დღის რომელი მონაკვეთია თქვენთვის მისაღები *(სამართლისა და საჯარო მმართველობის პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ტესტირება ჩატარდება ორ ნაკადად, კომპიუტერთან, ფიქსირებულ დროს. სხვა სამაგისტრო პროგრამებზის აპლიკანტებისათვის, გასაუბრების ინდივიდუალური განრიგი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე).*

სარეგისტრაციო საბუთები

- სარეგისტრაციო განაცხადის შევსების შემდეგ, ქვემოთ მითითებულ თითოეულ ველში, ატვირთეთ შესაბამისი დოკუმენტი, მითითებების მიხედვით. თქვენი განაცხადი დაკმაყოფილდება, თუ დაეთანხმებით:

➢ ***ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვაკმაყოფილებ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას (საერთო სამაგისტრო გამოცდები, მინიჭებული კვალიფიკაცია)***

➢ ***ვადასტურებ ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და დოკუმენტების ნამდვილობას***

➢ ***თანახმა ვარ, ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული და გამოყენებული იქნას უნივერსიტეტის მიერ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების მიზნებისათვის***



- განაცხადის შევსებისა და შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვის დასრულების შემდეგ მიიღებთ შეტყობინებას ,,თქვენი განაცხადი მიღებულია“, ასევე თქვენი მომხმარებლის ნომერს, პაროლსა და ინდივიდუალურ საიდენტიფიკაციო კოდს, რომლის საშუალებითაც თქვენ შეძლებთ პორტალზე შესვლას და თქვენთვის

მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემოწმებას *(აღნიშნული მონაცემების შენახვა და დამახსოვრება მნიშვნელოვანია!)*



გისურვებთ წარმატებას!